

ფილოსოფია და განათლება

განათლების ფილოსოფიის ფუტუროლოგიური პარადიგმა

ანასტასია ზაქარიაძე

თსუ პროფესორი

„საზოგადოებები.. არიან არც მანქანები და არც კომპიუტერები“¹

ალვინ ტოფლერი

თანამედროვე გარემო გამორჩეულია ყველა სფეროში მიმდინარე აღმორჩენებით, ცოდნისა და კვლევების საზღვრების გაფართოებით, ახალი ტექნოლოგიებით, ელექტრონული კომუნიკაციური ქსელებით. ახალი ტექნოლოგიები – ახალი დროის დადგომის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია და მათ მიიჩნევენ ე. წ. „ინფორმაციული საზოგადოების“ დაბადების ნიშნადაც. იგი გულისხმობს კაბელურ და სატელიტურ ტელევიზიას, კომპიუტერულ ქსელს, პერსონალურ კომპიუტერებს, ახალ საოფისე ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით, ონლაინ ინფორმაციულ მომსახურებას, ტექსტურ რედაქტორებს და ასევე კომპაქტდისკის კითხვით მენსიერებას. ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის ასეთმა ნაკადმა უნდა მიგვიყვანოს სოციალურ ცვლილებებთან, მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ძალიან მნიშვნელოვანია.²

¹ ალვინ ტოფლერი აგრძელებს მსჯელობას და ასკვნის, რომ საზოგადოებების დაყვანა უბრალოდ სააპარატე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ან სუპერსტრუქტურასა და საბაზისოზე. უფრო შესატყვისია ის მიდგომები, რომლებიც მათ ახასიათებენ, როგორც კომპლექსურ, მუდმივად ცვლადი უკუკავშირისა და მრავალი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან შემდგარს. ხოლო ცოდნა მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს მიმართ უფრო მეტად ხდება პრიორიტეტული.

² ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი იოზეფ შუმპეტერი თვლის, რომ დიდი ტექნოლოგიური მიღწევები, ინფორმაცია და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ახალი ეპოქის დადგომას ნიშნავს, რომელიც ადრეულ ეტაპზე შექმნის გარკვეულ დისკომფორტს, ისინი ბადებენ „შემოქმედებით ნგრევას/ ქაოსს“. მაგრამ შემდეგ აღმორჩნდება ეკონომიკურად მომგებიანი. ეს ახალი „ტექნოეკონომიკური პარადიგმა“ წარმოადგენს „ინფორმაციულ საუკუნეს“, რომლის ცნობიერება და აზროვნება XXI საუკუნის დასაწყისს ემთხვევა. მართლაც ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები ახალი საზოგადოების დაბადებას მოასწავებს. მკვლევართა ნაწილი სამართლიანად თვლის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები ინფორმაციული საზოგადოებისა და სოციუმის

სიძნელეს, რომლის გადალახვა პრაქტიკულად ვერ შეძლო მკვლევართა უმრავლესობამ, რომელიც ტექნოლოგიებზე აპელირებს, წარმოადგენს ვერიფიცირებული მონაცემების არსებობა, რომელთა შემოწმება იქნებოდა შესაძლებელი. ნებისმიერ ფორმულირებაში, რომელიც ინფორმაციულ საზოგადოებას განსაზღვრავს, არებობს ერთი ცენტრალური პრობლემა – ტექნოლოგიურ სკალაზე იმ ნერტილის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციულად. ფუტუროლოგები, დასაბუთების გარეშე, თავად ამ ფაქტის არსებობას აპრიორულად ინფორმაციული საზოგადოების გაჩენას უტოლებენ. ამ საკითხს გვერდს უვლიან ასევე ის მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს მიიჩნევენ ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშნად. ტექნოლოგია აქ განიხილება სოციალური დინამიკის მთავარ მამოძრავებლად. მას განსაკუთრებული, პრივილეგირებული ადგილი უჭირავს და იგი განსაზღვრავს მთელ სოციალურ სამყაროს: მათი დეფინიციით, არის-ორთქლის საუკუნე, მანქანის/ავტომობილის საუკუნე, ატომური საუკუნე. ტექნოლოგიები წარმოგვიდგება თვითკმარად. ამას კი მივყავართ ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განზომილებების ტექნოლოგიური ინოვაციებისაგან გამოყოფისაკენ.

ოუენ პაპკე გასული საუკუნის მიწურულს გამოსულ მონოგრაფიულ კვლევაში „პროგრესის ევოლუცია: ეკონომიკური პროგრესის დასასრული და ადამიანური ტრანსფორმაციის დასაწყისი“ ასაბუთებს, რომ „პროგრესის“ კონცეფცია, რომელიც სულ უფრო მეტად იკრებს ძალას, ადამიანის უნარებს და ხასიათის თვისებებს მომავლის დღის წესრიგის მთავარ მოქმედ სუბიექტად აქცევს და არა ცვლილებების წყაროდ (Paepke, 1992). პაპკეს მიზანია, რომ სიცოცხლის გახანგრძლივება და განსაკუთრებული მენტალური უნარებისა და სხვა სასიკეთო ხასიათის თვისებების გენეტიკური წყაროების აღმოჩენა მომავლის შესაძლებლობებს გახსნის.

ფუტუროლოგია, სიტყვასიტყვით – მოძღვრება მომავლის შესახებ, წარმოიშვა მეოცე საუკუნეში სწორედ მომავლის გამოწვევების წინაშე მდგარი საზოგადოებისა და ადამიანის პრობლემების განჭვრეტისა და გადაწყვეტის პრეტენზიით. ამ დისკურსში ჩართული მეცნიერები ამუშავებენ კაცობრიობის მომავლის კონცეფციას. ფუტუროლოგიური ხედვები უპირატესად დამყარებულია მარქსის, შპენგლერის, მანჰეიმის, თოინბის და სხვ. სოციალურ თეორიებზე. მათი კვლევების უმრავლესობა გვაფრთხილებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გველოდეს მომავალში. თითქმის ყველა აწმყოსა და მომავ-

საუკუნისთვის იქცა იმად, რაც თავის დროზე მექანიზაცია იყო სამრეწველო რევოლუციისათვის.

ლის მთავარ პრობლემებად სახავს ინდუსტრალიზაციის, ურბანიზაციის, ფსიქოლოგიური გაუცხოების, მოსახლეობის პოლარიზაციის, გარემოს დესტრუქციის, პოპულაციის ზრდის განსაკუთრებულ ტემპებს.

ბევრი ფუტუროლოგი იყენებს ისტორიას ინსტრუმენტად სოციალური ანალიზისა და ალტერნატიული გზების შეთავაზებისათვის. მაგალითად, რობერტ ჰეილბრონერი გახმაურებულ კვლევაში „მომავალი, როგორც ისტორია“ (Robert Heilbroner, *The Future as History*) ამერიკულ ისტორიას, კონკრეტულად კულტურის ისტორიას, იყენებს საშუალებად მომავალში შესაძლო პრობლემების გადაჭრისათვის, როგორც ყველაზე ქმედით იარაღს. ანალიზებს რა პოლიტიკური დემოკრატიის წინაშე მდგარ გამოწვევებს, გარემოს დაბინძურებით გამოწვეულ კატასტროფებს, მზარდ მოსახლეობას, მას მიანიშნა, რომ არც ინდუსტრიულ კაპიტალიზმს და არც მარქსისტულ სოციალიზმს თავისი ამჟამინდელი ფორმებით აქვთ აუცილებელი ძალა, რომ თავიდან აიცილოს გლობალური კატასტროფა.

ფუტუროლოგები თანხმდებიან, რომ თანამედროვე მეცნიერება და სალი აზრი განპირობებულნი არიან მხოლოდ უშუალო წარსულის ანალიზით, სწორედ მას სახავენ ადამიანური პრობლემების გაშიფვრისა და გადაწყვეტის გასაღებად. ადამიანური ინტელექტი და მსჯელობა არ არიან მომზადებულნი იმისთვის, რომ ადეკვატურად გახსნან სოციალური სისტემების მოქმედების მექანიზმი, იზინასწარმეტყველონ ღირებულებათა რადიკალური ცვლილებები, გააანალიზონ არსებული მთავრობის უუნარობა, უზრუნველყოს ადამიანთა საჭიროებები თანამედროვე სამყაროში. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება სწავლების იმგვარი გართულება და სპეციალიზება, რომ ძნელად თუ მოინახება ფართო ჰორიზონტისა და განათლების მქონე ადამიანი, რომელიც მთლიანი სურათის მოხელთებას შეძლებს. ფუტურიზმი ფოკუსირებულია ადამიანის აქტივობათა ურთიერთკავშირებზე, ადამიანის ქცევის შესაძლო ალტერნატივების ფართო დიაპაზონსა და მომავლის გაცნობიერებულად შეცვლისა და გამოგონების შესაძლებლობებზე.

ამერიკელ ფუტუროლოგთა უმრავლესობა ანალოგიას ხედავს კარგად გამართულ მეცნიერულ და მატერიალისტურ ხედვებსა და მომავალში ადამიანისათვის აუცილებელ სასიცოცხლო პირობებს შორის. ისინი უგულებელყოფენ ღირებულებების, სოციალური ქცევის ან მიმართებების რადიკალური ცვლილებების შესაძლებლობას. ჰერბერტ სპენსერის ცნობილ თეორიას „გარდაუვალი პროგრესის“ შესახებ საზოგადოებები მიჰყავს ტექნოლოგიის ურყევად მზარდი ტემპებისაკენ. ეს თეორია იმდენად პოპულარული და ფართოდ იყო მიღებული, რომ მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილმა მიიღო ჰერბერტ უელსის დისტოპიური წინასწარმეტყველება. უელსის, რომელიც თავისი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანებით „დროის მანქანა“,

„სამყაროთა ომები“, „მომავლის სახე“ ანონსებდა მსოფლიო ომს, გალაქტიკათშორის მოგზაურობას და სოციალური წესრიგის რღვევას, ახდენა ენერა, ისევე როგორც ოლდოს ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის ლიტერატურულ ინსინუაციებს თუ/ და ფანტაზიებს¹.

ცნობილი ამერიკელი ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი მეტაფორულად აყალიბებს საკუთარ პოზიციას – „სამყარო მუდმივად განიცდის ფორმირებას ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის სამი ტალღის მეშვეობით, რომელთა შეჩერებაც, როგორც დიდი მოქცევისა, შეუძლებელია. პირველი იყო – სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია, მეორე – სამრეწველო რევოლუცია, ახლა დგება მესამე ტალღის დრო – ინფორმაციული რევოლუცია², რო-

¹ 1999 წელს ეკრანებზე გამოდის ფილმი „მატრიცა“, რომელიც იმთავითვე ხდება საკულტო. მასში პირველად აისახა ფუტუროლოგიური ვირტუალური სამყარო. მოვლენები უსახელო მეგა ქალაქში მიმდინარეობს. ესაა მატრიცა – სიმულირებული რეალობა, რომლის გარჩევა რეალობისგან პრაქტიკულად შეუძლებელია. მატრიცასთან დაკავშირებული ადამიანების უმეტესობამ არც კი იცის, თუ რა ხდება სინამდვილეში. ამ მომავალში დედამიწაზე დომინირებს ხელოვნური ინტელექტი, XXI საუკუნის დასაწყისში შექმნილი მანქანები აჯანყდნენ კაცობრიობის წინააღმდეგ და დაამარცხეს ადამიანები დიდ ომში. მანქანებმა დაიწყეს ადამიანების ბიოელექტრობისა და თერმული ენერჯის გამოყენება ადამიანების პარკებში გაზრდით. მათ გონებას აკონტროლებენ კიბერნეტიკული იმპლანტები, რომლებიც ადამიანს აკავშირებენ ვირტუალური რეალობის სამყარო, სიმულირებული მატრიცის მიერ. ძირითადი პერსონაჟების დიდი ნაწილი მატრიცაში სუპერადამიანურ თვისებებს იძენს მას შემდეგ, რაც იძენს განათლებას – კონკრეტულად, მატრიცაში არსებულ ფიზიკის კანონებს ეუფლება. ამ ადამიანთა ნაწილი, რომელიც აცნობიერებს, რომ რეალობა სინამდვილეში გარკვეული ჯგუფის მიერ მართული ილუზიაა, იწყებს ბრძოლას ამ ილუზიის დასანგრევად.

² თუმცა არსებობს დასაბუთებული საპირისპირო თვალსაზრისიც. მაგალითად, თეოდორ როზშაკი, ტერმინის „კონტრკულტურა“ ავტორი, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „მთავარი იდეები“, რომლებიც ჩვენი ცივილიზაციის საფუძველშია, სრულებითაც არაა დაფუძნებული ინფორმაციაზე. ისეთი პრინციპები, როგორიცაა „ყველა ადამიანი თანასწორია“, „ის მანაც ჩემი ქვეყანაა, მართალია თუ არა ის“, „იცხოვრე და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება“, „ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ“ და „მოექეცი ისე სხვას, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ“ იკავებენ ცენტრალურ ადგილს, მაგრამ ისინი წარმოიშვნენ ინფორმაციის „საუკუნემდე“. როზშაკი არ ამტკიცებს, რომ ყველა ეს იდეა მართალია, იგი თვლის, რომ ზოგიერთ მათგანი მავნებელიც კია, მაგალითად, როგორიცაა: „ყველა ევროპელი მდიდარია“ ან „ყველა ქალი დამჯერია“ და „ყველა ბუნებრივად შავი, კარგი სპორტსმენია“. იდეები და შეფასებები, რომლებსაც ისინი თან ატარებენ, უფრო ადრეულია, ვიდრე ინფორმაციისადმი რაოდენობრივი მიდგომები.

მელიც მოასწავებს ცხოვრების ახალ წესს“ (Toffler, 1990: 12).¹

ფუტუროლოგიური პროგნოზების ნაწილი ოპტიმისტურად ჟღერს. ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენები ქმნის ახალ შესაძლებლობებს ახალი გამოგონებებისთვის, იდეათა, გეგმებისა და პროგრამების სწრაფ მიმოცვლას. ელექტრონული მედია და კომპიუტერი ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო შესაძლებლობების წყაროდ იქცევიან. ურთიერთდაკავშირებული საინფორმაციო სისტემები და მანქანები კიბერნეტიზაციის ერას უდებენ დასაწყისს. პროდუქციის ავტომატიზებული, კიბერნეტიზებული სისტემა დღეს რეალობაა. ფუტუროლოგიურ დისკურსში აპელირებენ ამ ველზე შექმნილი ტერმინებით: „პოსტინდუსტრიული“, „პოსტცივილიზაციური“, „სუპერ-ინდუსტრიული“, „კიბერნიზებული“, „საინფორმაციო ერა“, „კომუნიკაციური ერა“. ფუტურისტი მწერლები ვერ თანხმდებიან, რა ფორმას მიიღებს ტექნიკური რევოლუცია, მაგრამ ვერავენ უარყოფს, რომ იგი პროცესშია. თრანსფორმაცია, ერთი მხრივ, ადამიანური პოტენციალის უმაღლეს დონეზე განვითარების იმედს გვაძლევს, მაგრამ, ამავდროულად, ისმის საფრთხის შემცველი კითხვა, რამდენად შეძლებს ადამიანი, მოერგოს სწრაფად ცვლად გარემოს. პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ წარსულის იდეებზე დამყარებული განათლება, რაც თავის მხრივ ეფუძნება დასავლური სამყაროს დიადი წიგნების კლასიკოსთა კოლექციას, შედეგის მომცემი ვერ იქნება.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ფუტუროლოგიური პარადიგმის ანალიზს ამერიკულ განათლების ფილოსოფიაში. მომავლის განათლების პოლიტიკის დაგეგმარების ყველაზე ადეკვატური იარაღი ფილოსოფიაა

* * *

აშშ-ის განათლების ისტორია დიდწილად წარმოადგენს მომავლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ისტორიას. სპეკულაციური გეგმების უმრავლესობა, რომლებიც მიმართული იყო საგანმანათლებლო რეფორმაზე, მიზნად ისახავდა მათი თანამედროვე სიძნელებისა და პრობლემებისგან თავისუფალი სამყაროს მოქალაქეთა აღზრდას. 1795 წელს დანერილი განათლების ეროვნული სისტემის განვითარების გეგმები და ჯეფერსონის საზოგადოებრივი განათლების გეგმა ვირჯინიაში ფუტურისტული იყო იმ გაგებით, რომ მიზნად ისახავდა უკეთესი და უფრო მეტად დემოკრატიული მომავლის საზოგადოების აშენებას.

როზშაკი ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ინფორმაციის დიდ რაოდენობას მივყავართ იმ საზოგადოების ფუნდამენტურ ცვლილებასთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. დაინტერესებულმა მკითხველმა შეუძლია ვრცლად იხილოს Roszak, Theodore (2009).

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ტოფლერი პოზიტიურად აფასებს ამ ვითარებას, ერთი დათქმით – თუკი ადამიანი შეძლებს ამ ტალღის წვერზე თავის შემაგრებას.

ვფიქრობ, ადვილია ჯონ დიუის განათლების ფილოსოფიაში ფუტურ-იზმის ელემენტების აღმოჩენა. მისი პრაგმატული ფილოსოფია ფოკუსირებულია იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ვიცნობდეთ სამყაროს და როგორ შეგვიძლია ვაკონტროლოთ იგი. უკეთესი საზოგადოების აგების იდეა სკოლებით ცენტრალურია დიუის სოციალური რეკონსტრუქციის პარადიგმაში. დიუი ქმნის განათლების თეორიას სწრაფად ცვლად გარემოში მყოფი მზარდი, დინამიკური, ურბანული, ინდუსტრიული საზოგადოების საჭიროებების გადასაჭრელად. დიუის ძირითადი პრინციპია ადამიანის გამოცდილების უწყვეტი რეკონსტრუქცია, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს ახალი ტიპის სწავლებით. ამ პრინციპს ყველაზე ხშირად შეიძლება შევხვდეთ ფუტუროლოგთა ნაწერებში (ალვინ ტოფლერთან, ჯონ პლატთან, ართურ უირთან).

ამერიკელი ფუტუროლოგი ფილოსოფოსები, რომლებიც განათლების ფილოსოფიის თანამედროვე ტრენდს ქმნიან, თანხმდებიან, რომ ფუტუროლოგიური განათლების ფილოსოფია უნდა იყოს ღია, გლობალური, ინტერდისციპლინარული, სინერგიული, ორიენტირებული კულტურულ სინთეზზე. ფუტუროლოგები ერთხმად აცხადებენ, რომ განათლების მეცნიერებები ვერ ახერხებენ განათლების თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად სწრაფად ცვლად გარემოში მყოფი თანამედროვე საზოგადოების უზრუნველყოფას. ცხადია, რომ XXI საუკუნეში ცვლილებათა ტემპი უფრო მზარდია, XX საუკუნესთან შედარებით. ძველი თაობის აღმზრდელები, რომელთაც აკისრიათ სწავლა-აღზრდის პროცესის წარმართვა, სავარაუდოდ, აღმოჩნდებიან აბსოლუტურად განსხვავებულ რეალიაში, იმგვარში, რომ მათ ყველაზე თამამ ფანტაზიებსაც გასცდება. სწავლების არსებული კურიკულუმები, რომელიც წარსული დროის განათლების მოდელებს ემყარება, არაადექვატურია ახალგაზრდა თაობის მოთხოვნებთან შედარებით. მათი დისკურსი სხვა სიბრტყეშია განლაგებული და განსხვავებულ საკომუნიკაციო საშუალებებს საჭიროებს.

ცნობილი მონოგრაფიის „განათლება ტექნოლოგიურ საზოგადოებაში: პროფესიულ-ლიბერალური კვლევები ადრეულ მეოცე საუკუნეში“ (Education in the Technological Society: The Vocational-Liberal Studies Controversy in the Early Twentieth Century) ავტორი, ფილოსოფოსი ართურ ვირთი ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატები ორი ალტერნატივის წინაშეა. ერთი – ამჟამად არსებული განათლების კურსის მიდევნებას გვთავაზობს. იგი არ ითვალისწინებს ამერიკელთა სოციალურ მდგომარეობას, უმუშევრობისა და სეგრეგაციის პროცესების ზრდას; მეორე მიმართულია, უზრუნველყოს თანაბარი პირობები ყველა ბავშვის სწავლებისათვის მიუხედავად მისი სოციალური და რასობრივი კუთვნილებისა (Wirth, Arthur G. 2000: 32).

ფუტუროლოგიური განათლების ფილოსოფოსები კონკრეტულად აყენებენ იმგვარი პარდიგმის შექმნის საჭიროებას, რომელიც შეძლებს ააგოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით აღჭურვილი მომავლის საზოგადოება. ჯონ პულიამი (Pulliam, 1991: 255-56). ყველაზე უარესი, რაც შეიძლება გააკეთოს დღევანდელმა განათლების სისტემამ არის ის, რომ სტუდენტები მომავლში გავეზავნოთ XIX საუკუნის აგრარული ამერიკის იდეალებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული ცოდნით (იქვე). განათლების სფეროს ანალიზისას განსაკუთრებულად ნაყოფიერია ისტორიულ-დიაქრონულ ქრილში მისი დანახვა. ცნობილი ფაქტია, რომ ანტიკურ სამყაროში ცოდნის სისტემური გადაცემის პირველი მცდელობა სოციალურ რევილუციასთანაა შეჭიდებული. ათენში ძვ. წ. V საუკუნეში წარმოიშვა მდიდარი ადამიანების ახალი კლასი. მათ ფული ვაჭრობით, საქონლის იმპორტითა და წარმოებით მოიპოვეს. ამ ადამიანებმა მოისურვეს, საკუთარი შვილებისათვის მიეცათ ისეთი ცოდნა, რომელიც მხოლოდ აროსტოკრატიული წარმოშობის ოჯახის შვილებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ამ მიზნით, მათ დაიქირავეს ახალმოსახლე სიბრძნის მასწავლებლები – სოფისტები – პროტაგორა, გორგია, ანტიფრონი – დაოსტატებულნი ორატორულ ხელოვნებასა და გრამატიკის სწავლებაში. ისინი აკრიტიკებდნენ კონვენციურ სამართალს, მორალსა და რელიგიას, ასწავლიდნენ წარმატების მიღწევისათვის საჭირო პრაქტიკულ გზებს, დადგენილი წესებიდან თავის დაღწევის ხერხებს. სოფისტებმა შეუქცევადად შეცვალეს ღირებულებები და ნორმები, რამაც გამოიწვია სოციალური წყობის შეცვლა, ათენის საზოგადოების თვისებრივი გარდაქმნა. ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ მომავალი მხოლოდ წარსულის სარკისებრ ანახსნეცად უნდა მივიჩნიოთ, ანუ მისი გაგება მხოლოდ წარსულის პრიზმიდანაა შესაძლებელი. განათლებამ უნდა ნაახალისოს წარსულის შესწავლა კოლექტიური ადამიანური გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. წარსულის ღირებულებების არაკრიტიკულმა მიღებამ ალტერნატივებს შორის საუკეთესოს არჩევა შეიძლება გაართულოს.

ვიზიარებთ მონტანას უნივერსიტეტის პროფესორის ჯონ პულიამის თვალსაზრისს, რომ როგორც ქვალიტატური(თვისებრივი) ისე ქვონტატური (რაოდენობრივი) კვლევის მეთოდები უზრუნველყოფს განათლების ისტორიის გაგებას და გვეხმარება ავადგოთ იმგვარი კონფიგურაციები, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების სისტემების ზრდასა და განვითარებას (Pulliam, 1991: 257). ქვონტიტატურ კვლევას შეუძლია გაამდიდროს და ნაახალისოს ცოცხალ ისტორიაში ჩვენი ჩართულობა. მონაცემთა შეგროვება ინტერვიუებით, ველზე დაკვირვება, კვლევის ჩანაწერები დაეხმარება მოსწავლეს, რომელიც ერთ დროით-სივრით ჩარჩოში არსებულ სასწავლო პროცესშია ჩართული, განვიტაროს აზროვნება, მიმართებები, გრძნობები, შეხედულებ-

ბები და ადეკვატურად აღიქვას მასწავლებელი. მოქნილობა, კრეატიულობა და ჰუმანურობა ქვალიტატიური კვლევის მეთოდებით მოიპოვება. მასწავლებელი მომავლის სტუდენტი უნდა გახდეს, თუ მას სურს, რეალურად მიაღწიოს ხვალინდელი სამყაროს სტუდენტების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ამერიკული ფუტურიზმი განათლების თეორიაში ძირითადად იზიარებს დიუის არგუმენტს, რომ საშუალებები და მიზნები არ შეიძლება დავაცილოთ და რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებას. ამასთან, მიზნები, ამოცანები და შედეგები მომავლის განათლებაში შეფასებულია იმპლემენტაციის შესაძლებლობების კრიტერიუმით. კომპლექსური პრობლემების მარტივ გადწყვეტას თან სდევს გვერდითი ეფექტები, რომლებიც სიმძაფრით ძირეულ პრობლემებს არ ჩამოუვარდება. შეუძლებელია ვაკუუმში რამის გაკეთება; ის, რაც ჩართულია მიზნის მიღწევაში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად მიზანი. საზოგადოებასა და განათლებაში ნებისმიერ ცვლილებასა და გარდაქმნას თან სდევს ყოვლისმომცველი და გაუთვალისწინებელი ეფექტები. ბაზისური პრობლემების გადწყვეტა მნიშვნელოვანია, მაგრამ არაა საკმარისი. უნდა არსებობდეს ალტერნატივათა არსებობისა და არჩევანის შესაძლებლობა, რაც ადამიანის პოტენციალის სრული რეალიზაციის წინა პირობაა. სკოლები ხშირად აწესებენ არჩევანის ლიმიტირებულ საზღვრებს და ახშობენ კრეატიულობას. მატერიალიზმზე, წარმოებაზე, ექსპლუატაციაზე აქცენტირებულ ინდუსტრიულ ეპოქაში არსებულ განათლების მოდელებში დაწესებულია ჩარჩოები.

ფუტუროლოგიური აზრის სკოლების კლასიფიკაცია

ფუტუროლოგიურ თეორიები გამოიჩევა მრავალფეროვნებით. ისინი ხშირად ფარავენ ერთმანეთს საერთო ზოგადი პრინციპებისა და მიდგომების გამო. განათლების ფილოსოფიის ფუტუროლოგიურ პარადიგმას სწორედ ეს საერთო პრინციპები აგებენ.

ფუტუროლოგიური თეორიებში გამოიყოფა ორი პოლუსი – უკიდური ოპტიმისტებიდან ზომიერი ოპტიმისტების გავლით პესიმისტურ სკოლებამდე. კლასიფიკაციაში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები: ტექნოლოგიური ენთუზიასტები და ოპტიმისტი ექსტრაპოლისტები, მომავლის კონსტრუქტორები, ჰუმანისტი ფუტუროლოგები, სისტემ-ფუტურისტები, ევოლუციონისტები და ტრანსფორმატორისტები, ფანტაზიორი-ვიზიონერები და რადიკალურად განწყობილი ფუტუროლოგები. შევჩერდებით ზოგიერთზე. ოპტიმისტი ექსტრაპოლისტების ჯგუფის ჰუდზონის ინსტიტუტში მუშაობას აფინანსებს როგორც მთავრობა, ისე ბიზნესი. ისინი იმედით უყურებენ მომავალს, ანალიზებენ რა არსებულ მიმართულებებს და მომავლის საჭიროებებსა და ბაზრებს, ასკენიან, რომ არ არსებობს პოლუცია,

უბრალოდ, საჭიროა ვისწავლოთ წყაროების ხელახალი გადამუშავება.¹ მათი დამსახურებაა სწავლებისა და კვლევის ისეთი ახალი მეთოდების არსებობა, როგორცაა დელფი, კომპიუტერული ტენდენციის ანალიზი, ჯვარედინი ეფექტის მატრიცა. მომავლის კონსტრუქტორები (სკინერი, ბაკმინსტერ ფულერი, დონალდ მაიკლი, ჯონ პლატი) გეგმავენ მომავლის გაკონტროლებას და განათლება ამ პროცესში ითამაშებს მთავარ როლს. მომავლის მოვლენები შეუძლებელია მხოლოდ შანსის ან ინდივიდუალური სურვილების ამარა დავტოვოთ. დაგეგმარება, ზრდის ლიმიტირება და სოციალური ინჟინერია უკეთესი მომავლის კონსტრუირებისაკენ წაიყვანს საზოგადოებას.

ჯორჯ ლეონარდის კლასიკურ წიგნში „განათლება და ექსტაზი“ ჰუმანისტი ფუტუროლოგების ძირითადი დებულებებია წარმოდგენილი (Leonard: 1974). თანამედროვე საზოგადოება ზედმეტად სვამს აქცენტს როლურ თამაშებზე, შეჯიბრზე, სტატუსზე, მატერიალურ წარმატებაზე. ამან გაანადგურა ადამიანის ბუნება და გაართულა ინდუსტრიული ერიდან გადასვლა გაცნობიერების ერაზე. ადამიანებმა უნდა მოიცილონ ნიღბები, უფრო სენსიტიურნი გახდნენ სხვათა მიმართ და ისწავლონ თანაგრძნობა. ტრანსპერსონალური განათლება, რომელიც გრძნობისა და ყოფიერების კურიკულუმს უნდა დაეფუძნოს, ასახავს ჰუმანისტი ფუტუროლოგების ოცნებას. მასწავლებლები უნდა კოოპერირებდნენ აღსაზრდელებთან ღია, მიმდობ, სათუთ სასწავლო გარემოში. სწავლა-სწავლება უნდა იქცეს ტოტალურ ადამიანურ გამოცდილების ინტეგრალურ ნაწილად. ამ ჯგუფს სურს, წინ აღუდგეს მიმდინარე ინდუსტრიული ხანის მიერ შემოთავაზებულ ღირებულებებს ჰუმან-

¹ ეს ოპტიმიზმი ასახულია ცნობილი თანამედროვე ფილოსოფოსის დენიელ ბელის ნაშრომში „პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების დადგომა“, ასევე, ოლაფ ჰელმერის „სოციალურ ტექნოლოგიასა“ და ფრედ პოლაკის „მომავლის ხატში“. ყველა თანხმდება, რომ მომავლის განათლებას დასჭირდება უფრო მეტი და კარგად მომზადებული მეცნიერი, ინჟინერი, მენეჯერი. ჯონ ნეისბითი კვლევაში „მეგატრენდები“ და „მეგატრენდები 2000: ათი ახალი მიმართულება“ განმარტავს იმ გავრცელებულ მიმართულებებს, საითკენაც მიემართება თანამედროვე საზოგადოება. ამერიკულ გაზეთებში განთავსებული ადგილობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე იგი ცდილობს იმ უმთავრესი ტრენდების ექსტრაპოლაციას, რაც ჩვენი სამყაროს კონფიგურაციას აგებს. ნაიბითი „ფრთხილი“ ოპტიმისტი. ნათელი მომავალი, ამბობს იგი, მხოლოდ მაშინ გველის, თუ გავაცნობიერებთ რომ სერიოზული ტექნოლოგიური და სოციალური საფრთხეები გველის და ვისწავლით მახეებიდან თავის აცილებას. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია უფრო ვრცლად გაეცნოს საკითხს ნაშრომებში – John Naisbitt "Megatrends", New York: Warner Books, 1982 და Megatrends 2000: Ten New Directions for the 1990's", New York: Morrow, 1990.

ისტებს სწამთ, რომ ძალიან დავუახლოვდით იმ სამყაროს, რომელიც აღწერა ორუელმა „1984“-ში და ჰაქსლიმ – „საოცარ, ახალ სამყაროში“¹.

როგორ კურიკულუმს გვთავაზობს ფუტუროლოგიური განათლების თეორია

განათლების უფლება საყოველთაო ხასიათისაა და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისით ისარგებლოს ყველამ, განურჩევლად შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური კუთვნილების ან სხვა რომელიმე ფაქტორისა, რომელიც პიროვნების იდენტობას განსაზღვრავს. ფუტუროლოგები მიუთითებენ სწავლების ტოტალურად ახალი პროცესის შექმნის აუცილებლობაზე, სადაც განათლების ფოკუსი შეიცვლება ინფორმაციის მიწოდების დონიდან მონაცემთა პრობლემურ სიტუაციებზე მიყენების სწავლებაზე. პროცესი უნდა წარიმართოს კოოპერატიულსა და მოქმედებაზე ორიენტირებულ გარემოში.

მომავალში ყველა დონის საგანმანათლებლო ინსტიტუციები უნა გადაიქცეს მიუკერძოებელი ინფორმაციის დამუშავების და გავრცელების ცენტრებად. უნივერსიტეტები ამ მიზნის განხორციელებას დიდი ხანია ელოდნენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. უკვე დღეს ტელეკომუნიკაციებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის ფართო ქსელურმა ჩართვამ ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაციის ფართო სპექტრის წვდომა როგორც ჯგუფების, ასევე ინდივიდებისათვის. შესაძლებელია სა-

¹ ფუტუროლოგიური თემები თავის ასახვას პოეზებს თანამედროვე ფილმოგრაფიაში. ორი ათასწლეულის მიჯნაზე, 1999 წელს, ეკრანებზე გამოდის ფილმი „მატრიცა“, რომელიც იმთავითვე იქცევა საკულტოდ. ფუტუროლოგიური სულისკვეთებით გადაღებულ ფილმში პირველად წარმოჩნდა ვირტუალური სამყარო, სადაც დომინირებს ხელოვნური ინტელექტი, მოვლენები იშლება უტოპიურ მეგა ქალაქში, რომელსაც არ აქვს სახელი. ვირტუალური ქალაქის სიმულირებული ცხოვრება პრაქტიკულად არ განირჩევა რეალობისაგან. XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანის მიერ შექმნილი მანქანები აუჯანყდნენ კაცობრიობას და დაამარცხეს კიდეც იგი დიდ ომში. მანქანებმა დაიწყეს ადამიანების პარკებში გაზრდა და მათი ბიოელექტრობისა და თერმული ენერჯის გამოყენება, მათი გონების კიბერნეტიკული იმპლანტებით გაკონტროლება, ამ იმპლანტებით უკავშირდება ადამიანი სიმულირებულ რეალობას – მატრიცას. მატრიცასთან დაკავშირებული ადამიანების უმეტესობამ არც კი იცის, თუ რა ხდება სინამდვილეში. ძირითადი პერსონაჟები მატრიცაში სუპერადამიანურ თვისებებს იძენენ, მას შემდეგ, რაც იძენენ ცოდნას მასში არსებული ფიზიკის კანონების შესახებ.

განმანათლებლო დაწესებულებებში უკვე არსებობდეს ინფორმაციის მონაცემთა ბაზა. მაგრამ ფუტუროლოგები გვაფრთხილებენ, რომ ცხადად არსებობს მონაცემებისა და ინფორმაციულ ნაკადში დახრჩობის საშიშროება. განათლების პროცესში აუცილებელია ცოდნისა და სიბრძნის გადაცემასა და განვითარებაზე ზრუნვა. მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არაადეკვატური საშუალებაა იმისათვის, რომ ვასწავლოთ მომავლის მოქალაქესა და დამოუკიდებელ მეცნიერს პრობლემის გადაწყვეტა. კითხვები, რომელზეც მზა პასუხები უცნობია, ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში. მომავლის სკოლებში ყურადღება უნდა გადავიტანოთ ინფორმაციის ბიტების დამახსოვრებიდან ინფორმაციის მოპოვებასა და მოხმარებაზე. სწავლება, რომელიც დაფუძნებულია კვლევის, აღმოჩენისა და მეცნიერულ მეთოდებზე ლექციებზე, ტექსტების კითხვასა და მრავალი არჩევანის მქონე ტესტებზე, უპირატესი ადგილი უნდა მიეჩინოს. ასევე ხაზგასასმელია კრიტიკული შეფასების უნარის გამომუშავება. დაუმუშავებელი მონაცემები და არაორგანიზებული ინფორმაციის ნაკადი, რომელიც უპირატესად მოგვენოდება საინფორმაციო საშუალებებით, პრობლემათა გადაწყვეტისათვის გამოუსადეგარია. ხვალინდელი განათლების სასიცოცხლო ნაწილად იქცევა ინფორმაციის სწრაფად მოპოვებისა და სისტემატიზების უნარი. თუმცა მხოლოდ ინფორმაციის იდენტიფიცირება და ორგანიზება არ არის ცოდნა და ცოდნა არ არის სიბრძნე. სტუდენტს უნდა ვასწავლოთ შეფასებითი მსჯელობა, გაანალიზება, განზოგადება, დაზუსტება და წვდომა (Theobald, 2009:200). ამგვარად, მომავლის სტუდენტებისთვის განკუთვნილი განათლების სისტემა, რომელიც თავისი ბუნებით ღიაა, ითვალისწინებს კვლევებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, სადაც ფოკუსირებულია პრობლემის ანალიზი. მთავარი ამოცანაა ინდივიდუალური პიროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლება პროაქტიური გზით საკუთარი მომავლის მენეჯმენტი. ფუტუროლოგები ასევე მოითხოვენ, რომ კურიკულუმის დაფუძნებას ინტერდისციპლინურ მიდგომაზე. ფუტურიზმი განათლებაში ვერ შემოიფარგლება ერთი დისციპლინისა თუ საგნის არეალით. ძირითადი სასწავლო გეგმის იდეა, რომელიც ჰერბარტის მიერაა გამოგონილი და აქტიურად გამოყენებული პროგრესისტების მიერ, ფუტურიზმისათვის არის ცენტრალური. ზოგადი პრაქტიკაა ისტორიის სოციოლოგიასა და ეკონომიკასთან დაკავშირება ან ბიოლოგიას, ფსიქოლოგიასა და ეკოლოგიას შორის კავშირების ხაზგასმა. მომავლის მახასიათებელია ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროების ურთიერთგავლენების შესწავლა. სიტყვა „სინერგია“ აღწერს იმ ცვლილებას, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს სამყაროს ერთი ასპექტის შეცვლას. სინერგეტიკული, სიმბიოტიკური, ინტეგრირებული, ჰოლისტიური, ძირეული, ინტერდისციპლინური შესწავლა მომავლის კურიკულუმების

მთავარი მახასიათებელია. დისციპლინათა ვიწრო დასაზღვრულობა და ვიწრო სპეციალიზაციები საკითხის სრულყოფილ გაგებას ხელს შეუშლის. მან, ვინც მომავლის პრობლემები უნდა გადაჭრას, უნდა შეძლოს მრავალფეროვან საგნობრივ ველზე ინფორმაციის ადეკვატური შეგროვება და თავმოყრა. კუროზად აღიქმება XXI საუკუნის სტუდენტებისთვის ის ფაქტი, რომ წინა თაობის მოსწავლეები უპირობოდ მიიჩნევდნენ მასწავლებლებსა და სახელმძღვანელოებს ავტორიტეტებად. საინფორმაციო ეპოქაში არსებობს ცოდნის მიღებისა და მოპოვების იმდენი წყარო, რომ უნდა მიმდინარეობდეს მუდმივი კვლევა იმისა, თუ რა არის „ჭეშმარიტი“ და რა – „სასარგებლო“. პრიორიტეტული უნდა გახდეს კრიტიკული შფასება ინფორმაციისა, რომელიც უწყვეტად და ვრცლად მიეწოდება ადამიანს საკომუნიკაციო ინფორმაციული წყაროებიდან, მასმედიიდან. ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების უნარის გამომუშავება არ იყო ხაზგასმულად და უპირობოდ აუცილებელი კომპონენტი ინდუსტრიული ხანის საგანმანათლებლო სივრცისათვის. მას შემდგომ, რაც ინფორმაცია იქცა სწრაფად მოძველებად, ალვინ ტოფლერი ასკვნის, რომ მომავალში უნიგური პიროვნება იქნება ის, ვისაც არ უსწავლია, როგორ “ისწავლოს, დაივიწყოს ის, რაც ისწავლა და შეიცვალოს კვალიფიკაცია“ (Toffler, 1999:414).

ძლიერ ღირებულებით კომპონენტს ვიპოვით მომავლის კურსების უმრავლესობაში. ღირებულებები ხშირად იჩენენ თავს, როდესაც სტუდენტებს უნევთ არჩევანის გაკეთება მოსალოდნელი მომავლის ალტერნატიულ ვერსიებს შორის. ფუტურისტული მიდგომა მოითხოვს სტუდენტისაგან, მუდმივ რეჟიმში გადახედოს ინდუსტრიულ ეპოქასთან ღირებულებათა შესაბამისობას.

საბოლოო ჯამში, მომავლის კურიკულუმის მიზანია, განუვითაროს სტუდენტს რწმენა იმაში, რომ მას აქვს მომავლის გაკონტროლების უნარი.

ფუტურისტული განათლების მახასიათებლები

ექსპერტიები გვთავაზობენ სპეციფიკურ ცვლილებების კლასტერს, რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის მოქალაქეთა სათანადოდ განსწავლას, მომზადებას მომავლის გამოწვევებისათვის. მომავლის სკოლა პრობლემის ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული. მომავლის საგანმანათლებლო პარადიგმაში სწავლა-სწავლების სწორხაზოვანი პროცესი სინერგეტიკული პროცესებით არის ჩანაცვლებული. მთავარი მახვილი არის პრინციპზე, რომ **განათლების ტრენინგზე უპირატესობაზე, თამაშები იცვლება კოოპერაციით**, მოსწავლე მზადდება უცნობის შემეცნებისა და ათვისებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების უნარის გამომუშავებას. საგანმანათლებლო პროცესი არ სრულდება სწავლების სასკოლო, პროფესიული

და საუნივერსიტეტო სწავლებით. იგი არაა დასაზღვრული წლოვანებით. ტრადიციული პარადიგმის საპირწონედ მას ენაცვლება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლება (Theobald, 2009:129-130).

საქართველოში განათლების თანამედროვე სისტემა დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე; კონკრეტულად, 26-ე მუხლში ვკითხულობთ: (1) ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება, როგორც დაწყებითი, ასევე ზოგადი, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის, თითოეულის უნარისამებრ; (2) განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაზრდისკენ. ქარტიის „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებების სწავლება“ (2010) (<https://rm.coe.int/1680487880>) 142-ე განმარტებით, „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევის წესების ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათთვის მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით. ქარტიის ძირითადი მიზნებია:

(ა) ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

(ბ) მოსწავლეთა და სტუდენტთათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, ნათელი წარმოდგენების შექმნა და უნარების გამომუშავება, არამედ, საზოგადოებაში მოქმედებისათვის მათი მომზადება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში. ეს არის ის პრინციპები, ის ზოგადი ჩარჩო, რომელსაც ეფუძნება განათლების თეორია და პრაქტიკა საქართველოში.

მკვლევრები, რომლებიც მუშაობენ განათლების მეცნიერებებში საქართველოში, სამწუხაროდ, ნაკლებ ყურადღებას ან, შეიძლება ითქვას, საერთოდაც არ უთმობენ ყურადღებას ფუტუროლოგიურ მიდგომებს¹. ეს

¹ იშვიათი გამონაკლისია დიმიტრი დარჩიას მიერ 1987 წელს მომზადებული ლექციების

ვითარება ვნებს ეროვნულ დონეზე განათლების მეცნიერებების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cornish, Edward (1978); *The Study of the Future: An Introduction to the Art and Science of Understanding and Shaping tomorrow's World*. Washington, D.C. : World Future Society.
2. Heilbroner, Robert (1960), *The Future as History*, Harper & Row.
3. Leonard, George (1968), *Education and Ecstasy*; Delacorte Book Company; 3rd edition.
4. Naisbitt, John (1982), *Megatrends*, New New-York: Warner Books.
5. Naisbitt, John (1990), *Megatrends 2000: Ten New Directions for the 1990's*, New-York: Morrow.
6. Paepke, O. (1992), *The Evolution of Progress: The End of Economic Growth and the Beginning of Human Transformation* Random House; 1st edition.
7. Pulliam, John, and Bowman, Jim (1974); *Educational Futurism : In Pursuance of Survival*. Norman, OK: University of Oklahoma press.
8. ----- and James Van Patten (1991); *History of Education in America (the fifth ed.)*. Macmillan publishing company.
9. Rorty, Richard (1987); *Objectivity, Relativism and Truth*. New York: Cambridge press.
10. Roszak, Theodore (2009), *The Making of an Elder Culture: Reflections on the Future of America's Most Audacious Generation*. New Society Publishers.
11. Strike, Kenneth, and Jonas Soltis (1985); *The Ethics of Teaching*. New York: Teachers college press.
12. Theobald, Robert (2009); *An Alternative Future for America V*. Rev. ed. Chicago: Swallow press,
13. Toffler, Alvin (1970); *Future Shock*. New York: Random House,.
14. ----- (1974); *Learning for tomorrow*. New York: Random House,.
15. ----- (1990); *Powershift, Wealth and Violence at the Edge of the 21th Century*. New York: Bantan.
16. Schumpeter, Joseph A. (1991). Swedberg, Richard (ed.). *The economics and sociology of capitalism*. Princeton, New Jersey: Princeton University Press.

კურსი; იხ. „აშშ-ის პედაგოგიკაში ფუტუროლოგიური კონცეფციების კრიტიკული ანალიზი“ (ლექციების კურსი) / [რედ.: ჯ. ბერიშვილი]; თსუ, პედ. კათედრა. – თბ. : თსუ გამ-ბა; და თსუ პროფესორ ეთერ ლვინერიას ნიგნი „პედაგოგიკა აშშ-ში“.

17. Wirth, Arthur G.(1980) Education in the Technological Society: The Vocational-Liberal Studies Controversy in the Early Twentieth Century. Scranton, Pa.:Intext Educational Publishers.
18. Wirth, Arthur G. (2000), Education and Work for the Year 2000 : Choices We Face. John Wiley & Sons Inc, N.Y.
19. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) <http://erasmusplus.org.ge/files/files/FoET-2013-GEO.pdf> მოძიებულია 2020. 5.01.
20. სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამონვევები და განვითარების გზები. <https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3588/mod-resource/content/1/Curricular%20Reform%20For%20Democratic%20Principles%20and%20Civic%20Education%20in%20Georgi>. მოძიებულია 2019. 25.11.
21. ინფორმაციული საზოგადოების თეორიები შესავალი (ფრენკ უებსტერი) <http://www.socium.ge/downloads/info-saz-teoriebi/2-info-i-sazogadoebis-teoriebi.pdf> . მოძიებულია 2019. 2.10.

The Futuristic Paradigm- of Philosophy of Education

Anastasia Zakariadze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The mode of philosophy of education and philosophers discussed in this paper are certainly the major ones in contemporary America. Many of them have obvious theoretical foundation-futuristic discourse. The rate of change in modern society is rapidly accelerating. A group of scientists and authors, knowing as futurists, have taken issue with the standard assumptions implicit and explicit in modern civilization. Educators agree that it is extremely difficult to give future generations the skills and information, attitudes and values they will require for future survival, but anticipation of events to come seems fundamental to the attempt. The existing educational paradigm the so called classical-traditional one with a curriculum derived largely from the past is inadequate to meet the future for as a variety of alternatives as possible. Certainly the ideas of Dewey are as relevant for global post-industrial society as they are for the progressive educators of America and futuristic paradigm is mostly based on it. It is easy to trace elements of futurism in educational theory of Dewey. His principle of the continuous reconstruction of human experience in the light of new learning is one commonly found among futuristic authors. Also the idea of making a better society though education is central to them who follow Dewey.

The paper discusses the future movement, methods of futures research, such as Delphi, cross-impact matrix, simulation and gaming trend extrapolation, etc; As well as general schools of futuristic thought. Because of diversity of future theories they are divided into groups according to general principles and shared beliefs and there is seen some overlap among them. The main schools of futuristic thought are also critically analyzed. Some leading educational futurists have suggested specific changes in curriculum in order to help bring up human of tomorrow. The paper discusses main characteristics of future curriculum.

The paper suggests that scientists, philosophers of education and educators in Georgia have to be future-oriented if they are to prepare for a world of tomorrow which will be vastly different from today.